20 იანვარს (1 თებერვალს) 1867. № 3. მეოთხე წელიწადი.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გაზეთის ფასი:

Გაგზავნით Ტფილისში და გარეშე ადგილებში:	Გაუგზავნელათ:
Ერთის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —

Ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ—3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

Ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ბალავინის პროსპეკტზედ, რეიტერის სახლში.

Ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

შინაარსი: მმართებლობის განკარგულება:—უმაღლესი ბრძანება კავკასიის სამხედრო ოკრუგში. ტფილისი, 8 იანვარს. „დროების“ კორრესპონდენციები:—სამცხე.--სამეგრელო. პოლიტიკა:—იტალია.—საბერძნეთი.—ამერიკა. ტელეგრამმები. სალიტერატურო ნაწილი: — ისტორია სიუნისა. სხვა და სხვა ამბავი:—შთამომავლობითი სიმახინჯე. სახაზინო განცხადება. ქერძოობითი განცხადება.

უმაღლესი ბრძანება კავკასიის სამხედრო ოკრუგში.

პეტერბურგი, 20 დეკემბერს. წარჩინებულის სამსახურისათვის მიეცემა პოლკოვნიკობა თიანეთის ოკრუგის ნაჩალნიკს პოდპოლკოვნიკს **რატიშვილს**, რომელიც არმიის კავალერიაში ირიცხება.

პეტერბურგს, 22 დეკემბერს. განწესებულ ვადამდე მსახურობის გამო მიეცემათ პრაპორშჩიკობა № 25 პორტუპეი-იუნკერთაგანს **ნანეიშვილს**; № 30 იუნკერთაგანს **მდივანს** და უნტერ-აფიცერთაგანს **ზედგინიძეს**: № 31, პორტუპეი-იუნკერთაგანს **ტარიელ იოსელიანს** და უნტერ-აფიცერთაგანს **ბესარიონ იოსელიანს**; № 32, იუნკერთაგანს **ბაბაშვილს** და **ბოცირიძეს**; № 35, იუნკერებთაგანს **თავდს ერისთავს** და **შგრეხელიძეს**.

ტფილისი. 8 იანვარს, შუადღეზედ სასახლის ზალაში შეიკრიბნენ: ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ მარშლის თანამდებობის ამსრულებელი უეზდის მარშლით და ყველა თავად-აზნაურებითთურთ, რომელნიც ტფილისის ქალაქში ცხოვრებენ, საგლეხო დაწყობილების კამიტეტის წევრნი, გუბერნიის საგლეხო სასამართლოს წევრნი და აგრეთვე ყველა ტფილისში მყოფი მიროვის პოსრედნიკები იმათ კანდიდატებით.

მისი იმპერატორების უმაღლესობა დიდი მთავარი კავკასიის ნამესტნიკი იქ მდგომარე თავად-აზნაურობის წევრებს მიუბრუნდა შემდეგი სიტყვითა:

„უფალნო, დღეს ჩემთან იმისთვის შეგკრიბეთ, რომ ყოველად-მოწყალე მისის იმპერატორების დიდებულების მადლობა ჩემის პირით გადმოგცეთ იმ სრულ კეთილშობილურ და ძალ-მიტანებულ თანა-მოქმედებისთვის, რომელიც თქვენ გამოაჩინეთ, როცა მოქმედებაში შეჰყავდათ წეს-დება უწინდელ საბატონო გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესობაზედ ტფილისის გუბერნიაში. ხელმწიფე იმპერატორი ხელ-ახლა სიამოვნებით დარწმუნდა, რომ თქვენ მუდამ ყოველ შემთხვევაში მზათა ხართ დაუზარებლად აასრულოთ იმისი მპყრობელი ნება, და დარწმუნებულიც არის, რომ თქვენ აწც აგრეთვე დარჩებით. მე ბედნიერი ვარ, იმითი რომ შემიძლიან გადმოგცეთ ამგვარად წარმოთქმული უმაღლესი თქვენდამი ყურადღება, ბედნიერი ვარ იმისთვის რომ მისმა დიდებულებამ კეთილმნებელობით პატივისცა ჩემს მეოხებას, რომ ბევრი თქვენგანი დაეჯილდოვებინა.

„მე ჩემად დაუმატებ: დარჩით აგრეთვე, როგორიც აქამდის მუდამ ყოფილხართ; სამოცწელზედ მეტია, რაც საქართველო ერთობით რუსეთს შეუერთდა; ამ ხნის განმავლობაში საქართველო ნიადაგ ერთგულ-ქვეშევრდომის გრძნობით განირჩეოდა; იმან ეს ნათელს დღეებში და მძიმე წლებშიაც დაამტკიცა. ჩვენი სურვილიც ის არის, რომ მომავალს შთამომავლობასაც ივვე გრძნობა გადასცეთ, რომელიც ხელმწიფისადმი დაგიმარხავთ და, რომ თქვენი შვილებიც თქვენვე გემგზავსებოდეთ. მე სრულებით დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე იქნება.“

მეფური ნამესტნიკის მოწყალე სიტყვების პასუხად „ურა“ შეჰყვირეს. როცა საზოგადო აღელვება დაწყნარდა გუბერნიის მარშლის თანამდებობის ამსრულებელმა მთელის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მაგივრად მიუგო მისს იმპერატორების უმაღლესობას:

„თქვენო იმპერატორების უმაღლესობავ! ჩვენის საყვარლის მონარხის მოწყალე სიტყვებმა აღტაცებით აგვავსო. ვთხოვთ ხელმწიფე იმპერატორს იმის ტახტის ფერხთქვე დაუდვათ ჩვენი დარწმუნება, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა უკუნითი-უკუნისამდე ერთგულ-ქვეშევრდომი დარჩება. ის საგლეხო საქმის ასასრულებლად ხმაროს ყოველ საშუალებას და იმედიც აქვს აასრულოს, რაც იმისგან მოითხოვება კეთილ-წესიერად, მშვიდობიანად და კეთილ-სასურველად.

„თქვენო იმპერატორების უმაღლესობავ, საზოგადოდ მხარის სასიკეთოდ და განსაკუთრებით თავად-აზნაურობის საკეთილ-დღეოთ ბევრი მოიქმედეთ. ხელმწიფევ, მიიღეთ ჩვენი გულის სიღრმიდგან საზოგადოთ წარმოთქმული მადლობა თქვენის მამობრივის მზრუნველობისთვის.“

მისმა იმპერატორების უმაღლესობამ კეთილ-მიდრეკილებით მიიღო ტფილისის თავად-აზნაურობის გრძნობის გამოცხადება და შემდეგ საგლეხო საქმის წარმატებით მომდინარეობისთვის მადლობა უთხრა საგლეხო დაწყობილების ცენტრალურ კამიტეტის თავსმჯდომარეს და წევრებს, ტფილისის გუბერნიის საგლეხო სასამართლოს თავს-მჯდომარეს და წევრებს და ყველა მიროვის პოსრედნიკებს და იმათ კანდიდატებს, რომლებმაც მეტად კარგათ აასრულეს თავიანთი დანიშნულება.

ყველა იქ მდგომარე და საგლეხო საქმეში მმოქმედი პირი უავგუსტესის ნამესტნიკის მოწყალე ყურადღებას და მილოცვას ელირსა.

განცხადება

საპოლიტიკო და სალიტერატურო

გაზეთის „დროების“ გამოცემაზე

1867 წელს.

გაზეთი „დროება“ 1867 წელს გამოვა იმავე მიმართულებით და იმავე რიგით, როგორც გამოდიოდა 1866 წელს.

„დროება“ უწინდელათვე გამოვა კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ერთის თაბახიდამ თაბახ ნახევრამდე.

ფასი მთელის წლის ნუმრებისა არის: გაუგზავნელათ ტფილისში 6 მანეთი, გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში 7 მანეთი.

გაზეთზედ ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, „დროების“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ბალავინის პროსპეკტზედ, რეიტერის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთ ვთხოვთ უმორჩილესათ, რომ თავიანთი მოთხოვნილება გამოგზავნონ ხოლმე ამ ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К-°.

„დროების“ კორრესპონდენციები.

სამცხე.—შარშან მთელს ზამთარს სიხმელე იყო; თოვლი არ მოვიდა; მოყოლებულის სთვლითგანვე ასეთი ქარიშხალები ასტყდა, რომ სთვლის თესლი (ხორბალი) სულ ყანებითგან დასთხარა, ამოყრილი თესლი ფრინველმა და ჭიამ გაანგა, დანაშთენი ყანებში მშრალად დარჩა. ბაზაფხულის პირათაც ფარსაგი წვიმები არ მოვიდა, რომ დროზედ ჯეჯილი ამოსულიყო და ამ რიგად მოსცდა ბარათ ძველი თესლობის ყანები. ბაზაფხულის თესლებმა, ქერმა, დიკამ, ასლმა და სიმინდმა გვარიანათ ივარგეს. ზეგან ადგილებში-ფოცხოვში, ძვაბლიანში და იმისთანა მთის ძირებში ძველი და ახალი ჭინახული ძალიან იყო, რადგან ცოტ-ცოტა თოვლი არ აკლდა. ხილეულობა კი ბარში თუ ზეგნებში ორგანვე წყალთა წყევადიყო. (?) ბაზაფხულითგანვე ზოგიერთთ მწვეთვალი უტყდებოდათ, და ეგონათ, რომ სარჩოს სიძვირე ჩამოვარდება; მაგრამ ღვთის მოწყალებით ჯავახეთის და შორაკლის მოსავალთა ძალზე გააიაფეს ჭინახული. მსეც უნდა ვთქვათ, რომ უიმისოთაც არაოდეს არ მომხდარა სიძვირე ახალციხეში; ამიტომ რომ თუ ძველი თესლი მოსცდა როდისმე, ახალი თესლი უთუოდ მოვა; თუ არა და სიმინდი მუდამ უხვად მოდის. აქაურნი გლეხნი სულ ყოველთვის იჭარბებენ სიმინდს და ბევრჯერ იმერეთს, ბურიას და ოსმალოს საქართველოს ეწევიან ხოლმე სარჩოთი, ზოგჯერ ქვემო ქართლსაც. არსად არის მოხსენებული, რომ ახალციხეში სიმშილობა ყოფილიყოს ომიანობისა და ჟამიანობის გარდა, როდესაც ვერ მოხვნენ და ვერ მოსთესვენ ყანებსა. ასე ყოველთვის ახალციხიდამ ჭინახული სულ გარეთ გადის, საწუთრო (?) ხილეულობა ხომ რაღა, ცხადია. ბაფხული მთელი იყო, არა სნეულობა არ ყოფილა, სთველზედ კი საყვითლოს სენი გაჩნდა. ბამთარში შემოჰყვა და აქა იქ მუშაობს; მაგრამ უზიანოდ. წელს ბამთარი საშუალოა; თოვლი თავის დროზედ მოვიდა; იმედია, რომ ძველმა თესლმა ივარგოს. „დროების“ წარსულს წელს ივლიტის ჯვარის ეკკლესიის გატეხის ამბავი დავწერეთ ახლა თან და თან მოაქვთ იმისი ნივთეულობა. ჯერ მოიტანეს ოთხი ხელი სამღვდელო შესამოსები: ორი ხელი მთელია და ორიც სრულ ნაჭერ-ნაჭრებად დარღვეულ-დაჭრილი. სიწმიდის ბაკისი მოტანილია მხოლოდ თავსაბურავი ვეცხლისა მისის ჯვარითა: ქარა ღერი და ფესვედი კი არ არის, არც ვეცხლის ქამრებია და ამასთან ხუთი ხელი შესამოსიც აკლია; აგრეთვე დიაკვნების კვართები, ტრაპეზის საბურავები და ფარდაგები. ამასთანავე ბარძიის მონასტრის ზოგიერთი ნივთეულებიც მოიტანეს—ბარძიმი გატეხილი, მაგრამ მთლად; ვერცხლით მოჭედილი სახარება და უმეტესი ნაწილი შესამოსების აკლია. ამ ორივე ეკკლესიების მოსული ნივთეულობა პოლიციით ათ თუმნამდის დაფასებულია და რაც დაკლდებათ ადრინდელ დაფასებასა, დატყვევებული ქურდების პატრონებს უნდა გადაახდევინონ. ამ საქმეებზედ თუმცა აჭარელმა შარიფ ბეგმა (*) დიდი მეცადინეობა აღმოაჩინა, მაგრამ აქაურმა ნაჩალნიკმა დომბროვსკიმაც შესანიშნავი ღვაწლი დასდვა, ასე რომ ადრეც თუმცა მრავალჯერ გატეხილან სოფლით ქალაქამდის ეკკლესიები, მაგრამ ასეთი ცდა მაშინდელს ნაჩალნიკებს არ აღმოუჩენიათ.

ქ. ახალციხე.
ქრისტეშობის თვის 29, 1866 წ.

სამეგრელო, 12 დეკემბერს. (*)

„დროების“ გამოსულა ყუსლასთვს, ვინც კი ქართულად ლაპარაკობს და საქართუსლოს ეკუთვნის სასიამოვნოა, რადგანაც ის ცოტა-ოდენათაც არის ერთმანერთის ამბავს გუტყობინებს. მაგრამ ეს როგორ არის, რომ აქამდის იმაში სამეგრელოზედ არა დაწერილა რა. „დროების“ თანამშრომელებში ერთი მეგრელიც არ ურევია. . . . . .

ვითამ საზიარო არა გუქონდეს-რა ერთმანერთში, არაფერს ერთი—მეორისას არ ეიტყობთ. „როგორც თუალი შორს, ისე გული შორსო“, ამ ჩუსნის ანდაზის მწარე საყუსდური ჩუსნ-ვე თავს გუტატყდება; მაგრამ ჩუსნისთანა ნათესაობა, რომ ძვრად ვინმემ იცის? ერთმანერთის უამბოდ რომ ვერ გაესძლებთ? ეს როგორ არის? ბანა ნათესავები ხომ მარტო დედა-შვილებს და ბიძა ძმის-წულებს არა ქვია? ასე იწრო ბაკეში როგორ ჩაეტევა თავის შტოებით მთელი ნათესაობის მდინარე?..

ჩუსნი საგონებელი სწორედ ეს არის, მაგრამ „ჩუსნ“-ზე უფრო „მე“-ს რომ ვლაპარაკობთ. . . . ეს სწორედ მოგახსენოთ, დიაღ გულის-გაგრილებაა ერთმანერთობაში. ასე გულ-კლების სიტყუსბით დაწყება, ეგების არ დაუჯდეს ვისმე,—მეც სწორედ არ მიხარია;

(*) შარიფ-ბეგი აჭარელი არის ხიმშიაშვილი, სელიმ-ფაშის ძის აჰმად-ფაშის ნამდვილი შვილი, იმ აჰმადისა, რომ ყარსში ფაშად იჯდა და 1829-ში რუსისგან ახლად-აღებულს ახალციხის ციხეს დაეცა. ავტორი.

(**) რედაქციას ვსთხოვ ჩემი მართლ-წერა შეუცვლელად დაბეჭდოს, რაზედაც, რასაკვრუსლია, არ წამიყრუებს, უფრო მიტომ, რომ ამის ასრულება სულაც მგონია არ გაუძნელდება და არც დიდი გადამავლობა იქმნება.—

ამასა გვწერს ამ კორრესპონდენციის ავტორი და კიდეც ვასრულებთ იმისს სურვილს. რედაქ.

მაგრამ, გასაკვრია, რომ რისაც ქმნა არ გუსძნელება, იმის თქმა კი გუსჯავრება.!...

აბა თუ ასე დაშორებული არა ვართ, მართლა და თუ ვიცით ერთმანერთის ყოფა-ცხოვრება: ქართველმა მეგრელის, მეგრელმა კახელის, კახელმა გურულის? მგონია ძალიან სუსტად; როგორც მისული—მოსული გუაქუს გაბმული, ისე ხშირადაც ხუდება თუალ-ყური ერთმანერთის ყოფა-ცხოვრებას. რომ არაფერი არ მიჰყუსბა ერთმანეთს: ხასიათი, ზნე, ჩუსულება, შინაობის წესი, ცოდნა, კელობა და ზოგან თითქმის ენაც დაშორებული და გადაქცეულია, იმოდენად, რომ ჩამომავლობის ნიშანი ან გარყუნია და ან დაჰკარგვია; ბევრი თვთონ-ვე შეუქმნია, როგორც გაცალკევებულს, თავის-თავადს ხალხს, რომელიც ადვილად ველარ დაეხსნება ამ შენათვისებს... ახლა ამისთანა მდგომარეობას თუ გახშირებულის წიგნების მიმკურელი ცოდნა შეაწებებს და ჟურნალების და გაზეთების მკვრცხლი ფრიალი გონებას გაუღვიძებს. . . . ახლა ამ ცოტა ხანში კი საიმედო ნიშნები მოხშირდენ: სწავლის სიმართლე გასაერთოდა, სასწავლებლები ცოტათი მომრავლდნენ, წიგნებიც ნელ-ნელა სჩნდებიან. ამას, რასაკვრუსლია, ყოველი ჩუსნებური გულ-წრფელს წარმატების და კეთილ-მიმთხუსვს სურვლს აახლებს; მაგრამ ამისგანაც—საზოგადოს გარდა, ძალიან ცოტა წილი ერგო თავად სამეგრელოს. აქ ერთიც არ არის, მარტვილის სასულიერეოს გარდა, სასწავლებელი, რომელსაც წერა-კითხვს და ანგარიშის სწავლება შეეძლოს...

სამეგრელო ყოველის-ფრით ნაყოფიერი ქუსყანა არის: ჭირნახულითაც, პირუტყვთაც, კაცითაც, ნიჭითაც, სილამაზითაც, სიცქვტითაც, მცბიერებითაც, ცრუ-მორწმუნეობითაც, უკადრისობითაც, ზარმაცობითაც. მიწა არის უხუსად გადამხდელი მცირის შრომისა. აქ ბეურნაირის პურის მცენარეს სთესენ; მაგრამ ყუსლაზედ უფრო ღომს ეწყობიან, თუმცა საზოგადოდ სიმინდს უმეტესად მუშაობენ, რომელსაც დაღერღენ კელ-საფქუავითა და მჭადის მაგიერად ღომით გაკეთებულს სჭამენ და უძახიან სიმინდის ღომსა, რადგან ღომის სახით უფრო ემხრობათ ყოველის სარჩოს ჭამა. პურს (იფქლს) ძვრად მოიწევენ და იმასაც უმეტესად რომელიმე ვაკე ალაგებშიდ, სადაც ერთი ოცდა-ათად, ორმოცდა ათად და მეტადაც მოდის; მაგრამ თუ არ გარეცხეს, დახურდება და პეპლად გამოჰფრინდება. ჰსთესენ შავს პურს, რომელსაც ჭუავს უწოდებენ და კიდევაც კარგად ვარგობს; მაგრამ რადგან მისი რიგიანი კეთება არ იციან, გასაკვრი არ არის, რომ სიმრთელის წყენას უჩივიან, როგორც ქერს, რომელიც უფრო იშვიათია ჭუავზე, მოდის ბლომად, ხან და ხან ამ საკუსბში კაცები შეეზიარებიან ხოლმე ცხენებს, რომელსაც მის მაგიერად სიმინდით ისტუმრებენ და უნახელო ნაკეთები რომ იქნება, ოღონდაც ძვრად დაუჯდებათ ეს პირუტყუთან ვაჭრობა. ფეტუს ბევრს მოიყუანებენ, მისს ცომს გაბრტყელებულს ხარშუსნ და ძვრად ყუსლბზედ გამოაცხობენ. ზოგან მოყავსთ ბრინჯი, რომელსაც ხალხი უძახის, ვერ შეეტყუს სიდამ და რის-გან, არაბულ-ლათინურს სახელს ორიზას (oryza). ღვნო პირუსლად ბევრი და კარგი მოდიოდა და ახლა კი ეს თერთმეტი წელიწადია ჩააცივდა ვაზის სენი (Oidium Tukkeri) და ასე დაიბრიყუა ხალხი, რომ აღარ მოჰსცილდა ამდენს ხანს. დაბლარი ძალიან იშვათია, აქ სულ მაღლარი ვენახია, რომლის გამობრუნებასაც აღარ ეშუსლარა; რომ რამე წამალი შეეტყოთ მაინც, მთელი ვენახის ტყის აქიმობა ძნელი იყო და არც ეს იცოდენ, სულ აიღეს კელი და გადაჩეხეს ავათ მყოფი დობილოები და ყანები გაჭიმეს მამულებში. აქაურები ახლა სულ ასე გულაგდებით უყურებენ თავს სასახელო სავენახეებს, რომლის წახდენასაც, როგორც სნეულებას აბრეშუმის ჭიისას, რომელიც ეს მერუსს წელია გატტინის მსხუსრპლი შეიქმნა, აბრალებენ ღვინოს და აბრეშუმის მექარხნე ფრანცუზებს „ჰაერი მოგვიწამლესო“ და რა მოგებისთვის ქმნესო, ამას რასაკვრუსლია მათგანი არავნ გაჭვრეტს. ბამბა კი ჩინებულად მოდის და ყიდვს გარდა პირდა-პირაც ხმარებით კარგათ იყენებენ. ბამბეულის კეთება ამ სამ წელიწადში შესამჩნეველად გააუკეთესეს. ეგრეთუს სელიც ხუავანად მოჰყავსთ და კიდევაც ართუსნ მისს ნაძეძს; მაგრამ სრულიად არ იციან მომხრობილი საშუალობა სელის და კანაფის გაძეძისა და ამიტომ კანაფისას ბაწრის მეტს ვერას აკეთებენ და სელისგან გაკეთებული ტილო მეტად უდრეკი-მსხვლი და თხელი ნაქსოვა. ქანაფის და სელის თესლისაგან სარგო არაფერი გამოჰყავსთ, მხოლოდ უკანასკნელს ფქუსნ, ამ ფქვლს თაფლში ან ყურძნის ტკბილში მოაგუნდავებენ კომშის სიმსხოთ და ამ სახით გაკეთებულს დიდის მადით იგემებენ და უხმობენ ქუმუამს, მიტომ რომ სელის თესლს მეგრულად ქუმუ ქვა, თუმცა თვთ სელს კი სხუა ქართულის სახელისა-გან გარდაქცეული სახელი აქუს—ს უ. ამას გარდა, სელის თესლს ცულიან მარილზე თანასწორის და ხან მეტის ზომითაც. ერთი სახალხო საყუარელი და საექიმო საჭმელი, რომელსაც ყოველ ავად-გახდომისას მიიღებენ ხოლმე, არის ტიბუ ე. ი. ტფილი ოგრა, ღომისა და ღვნის, ან წყლისაგან გაკეთებული, ცხლად დასახურეპად და გადაყრუებული პარკიანის პილპილით, ქონდრით და სხუა მწარეულით, ასე რომ უჩუსულო კაცს იმოდენად დაჰსწვავს ყელ-პირს და თავში შეუვარდება, რომ სულ უწყალო კურცხლებს აყრევინებს; მაგრამ ისინი ისე მიჩუსულნი არიან, რომ ამ სამკურნალო ნამზადს კი არა, არასფერს სხუას საჭამადსაც, ძალიან ბლომად თუ არ აქუს ეს პარკი პილპილი, არ იამებათ ჭამა. ამ გუარს ოგრას სიმიდის ფქვილისაგანაც აკეთებენ; მაგრამ იმისთანა დანიშნულება არ აქუს, როგორც ღომისა და სახელიც სხუა ქვა-ფითქი. ბაღის და ბოსტნის მცენარეების უხუსბა დასანახავა, თუმცა აქაურები ამათს მოვლას თითქმის არ დასდევენ, ბოსტნეულს მაინც ძალიან ნაკლებად აშენებენ და არც იციან როგორც თითქმის სხვსი ყოველის ფრის, ისე ამის მიმხუდარი მუშაობა, რომელზედაც უფრო მიწის ნიადაგის უმტყუენებლის სიკეთის მინდობილია მუშა. ჭარხალი წითელი და უფრო თეთრი, კანა-მხალი, გოგრა, კიტრი, ნესვ და საკაზმი ბოსტნეული შეადგენს ამ მხარის ჩუსულებრიეს ბოსტანს, რომელშიდაც კართოფილი, თუმცა ძვრად გამოერევა, მაგრამ პატრონს საქებარს მოსავალს მოსცემს. ამის ხმარება არ არის გავრცელებული ხალხში, რადგან საჭამადად ან პურად იშვათად და სხუა რამედ კეთება, სულაც არა იციან და მიტომაც ისე ცოტას, ზოზვთ მუშაობენ და იმასაც შინაობას ვერ შეაფარებენ რამეში. თამბაქოს ცოტა სხუაზე მეტად უვლიან, კარგად თუმცა არ იციან შემუშავება, გრეხენ და წონაზე უფრო ნაგრეხობით ჰყიდიან შიგნით-ვე, რადგან რომ ეწევიან, იმოდენს არ მოიყუანებენ და ამიტომაც ძლივს თითონვე ჰყოფნისთ, თუ არა სხუაგან სახსენებელი არაფერი გადის. ხეხილები კი კარგა ხშირია; დამყნა და რგუა სხუა შრომისავით არ ეზარებათ, თითქმის კიდეც ეხალისებათ; აქაური ბუნებაც ისე უწყობს კელს იმათს აღორძინებას, რომ ზოგიერთს ალაგს გარეული ხილი შინა-მოვლილს და ნაპატიევებს, არა თუ უდრის, უკეთესიც არის. აქამდის ხილისაგან არაფერი გამოჰყავდათ სხუა რამ გამოსადეგი და ახლა კი აქა-იქ პანტის, თუ სხუა ხილების ხდა დაიწყეს ოტკად, რომელიც აგრეთუს სიმინდისა-განაც გამოჰყავსთ და ამით კიდეც მანამდელზედ მოიმატა სიმინდის ფასმა და იმისი ნაკლებობაც ხალხში საგრძნობელია. აი ახლა სიმინდსა და სხუა ჭირნახულებს რა ფასი აქუს სამეგრელოში: პური, ქილა (*) 1 მანეთიდამ—1 მ. 20 კაპ., ღომი ქილა 60—90 კაპ., ჭუავ (შავ პური) 50—60 კაპ., ქერი 35—40 კაპ., ფეტვ—20—30 კაპ., ღვნო კოკა: კარგი 3 მ.—4 მანეთამდე, საშუალ 2 მ.—2 მ. 50 კაპ., მდარე 1—1. მ. 50. კ; ხილის ოტკა—ბათმანი 2—3 მან., ბამბა ფუთი 6—8 მანეთ., თამბაქო 20 ნაგრეხი — 20—25 კაპეიკად.

ამ გამოსავლებიდამ ყუსლაზე უფრო იყიდებიან: სიმინდი, ღომი, ბამბა და თამბაქო; სიმინდი უმეტესად ვაკე დაბლობი ადგილებისაგან, როგორიც არის ხოფის წყლის, Ciqs და მათში შემდინარე წყლების ნაპირები: ხორგა, საჩიჩუო, ხიბულა, ჯაპი-შანქარი, ქახათი და სხ. აგრეთვე რიონის და ტეხურის დაბლანაპირები: ჭალა-დიდი, საჭყონდიდლო, ნოსირი და სხ. ღომი, ბამბა და თამბაქო სამეგრელოს მდინარეების მაღლობის კიდეებიდამ და ფერდობი ალაგებიდამ; ყუსლაზე განსხუავებული თამბაქოს მოსავლით არის ზალენჯიხა და მისი მომიჯნავე სოფლები. ღვნო გორიანსა და სერებიანს ადგილებში, თუმცა ერთობ დამცირებით, მაგრამ სხუა აქაურს ადგილებზე უმფრო მოდის. ამ გუარ ადგილებს ეკუთნვან ვაზის სიმრთელის დროს ნახსენები სოფლები: უშაბათი თავისის გოდავათურით, რომელიც სრულიად სენმა წაიღო, სალიპარტიანო—სალხინო თავისის ოჯოლეშით, აბედათი და სხ. ეს საგნები შედარებით დიაღ მცირე გამოსარჩენია, რადგან ბეჯითი და მიგნებული მუშაობა სუსტათ არის; მაგრამ გულ-დადებულს მუშაობას მალე მოუწყინდებიან და აღებ-მიცემის მისუსლა-მოსუსლას უფრო ეტანებიან და საოჯახო დამჯდარი და მიცდილი შრომის ნაყოფი, რომ ცოტა არ იყოს და გასაყიდელი მეგრელებს ჰქონდესთ, ვაჭრობა კი ემარჯუსბათ.

მეგრი-კორრესპონდენტი.

პოლიტიკა.

იტალია. რიკაზოლის წიგნი ურთიერთს დამოკიდებულებაზედ ეკკლესიასა და სახელმწიფოს შორის. გაზეთში „Italia“ სწერენ: ეპისკოპოსებს, რომელნიც რომიდამ გავიდნენ, არა სცოდნიათ ამ მკირე ხანში, რომ იმათ ნება მიეცათ დაბრუნებისა; ეს უნდა იყოს მიზეზი იმათის წიგნის მიწერისა რიკაზოლთან, რომელშიაც ისინი ჩივიან თავიანთს დიდისხნის მოშორებაზედ ეპარხიებიდამ. რიკაზოლიმ იმათ მაშინვე უპასუხა და ამასთანავე წარმოსთქვა თავისი აზრი, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ეკკლესიას სახელმწიფოსთან, დამოკიდებულება, რომელიც ამიერიდგან უნდა დაარსდეს იტალიაში. იქნება პატივცემულს პრეზიდენს არც ერთხელ არა ჰქონია შემთხვევა, რომ ასე დაწვრილებით და ცხოველათ გამოეხატა დიდი და ღირს-შესანიშნავი საგანი. აი იმისი პასუხი: „მოწყალენო ხელმწიფენო. მე ესარის მივიღე თქვენი წიგნი, რომელშიაც თხოულობთ ნების მოცემას დაბრუნებაზედ ეპარხიებში. ამ წიგნმა ორგვარათ გამახარა მე—პირველათ იმ აზრით, რომელიც თქვენ ხელგმძღვანელობდათ და რომელზედაც მე სრულებით თანახმა ვარ; მეორეთ თქვენმიერ გამოთქმულის სურვილით, რომ 22-ს ოკტომბრის ცირკულარით მიცემული ეპისკოპოსებისთვის ნება გავრცელებულიყო ეპისკოპატის წევრებზედ, რომელნიც ახლა რომში იმყოფებიან; ეს აჩვენებს თქვენს თანხმობას სჯულისა და დებულებია მიღებაზედ, რომლის მფარველობას ქვეშაც თქვენ გინდათ იცხოვროთ. ბედნიერათ ვხდი ჩემ თავს, რომ მე წინათვე ვცან თქვენი სურვილი და გრძნობა, რადგანაც თვით იმავე დღეს, რომელსაც თქვენი წიგნია დაწერილი, მე მოვახდინე განკარგულება, რომ თქვენ აგეხსნათ ის აღკრძალვა, რომელზედაც სჩივით, და მე მგონია, თქვენ ახლა მიღებული გაქვთ ამაზედ ცნობა. ამ ღონისძიების მიღებით მმართველობას სურს შემწეობა მისცეს ჩვენ მიერ წარმოთქმულს პრინციპს, რომ თავისუფალს სახელმწიფოში ეკკლესიაც თავისუფალი იყოს. მოწყალენო ხელმწიფენო! მმართებლობა სრულებით თანაგმრძნობელია თქვენის სურვილისა, რომ Italიაში აღემართოს ის ბწყინვალე სარწმუნოების თავისუფლება, რომელიც დაუარსებიათ თავიანთ მხარეში ამერიკის შეერთებულის შტატების მცხოვრებლებს. აქ სახელმწიფო კრებაში თავისუფლათ ბაასობენ სარწმუნოების საგნებზედ და რა აზრებსაც დაადგებიან, იმას საზოგადოთ მიიღებენ და აღიარებენ თვითოეულს ქალაქში, თვითოეულს სოფელში. აქ არ შეიძლება არ მივაქციო თქვენი ყურადღება იმას, რომ ეს ბრწყინვალე მდგომარეობა არის ნაყოფი თავისუფლებისა, რომელიც ყველასაგან პატივცემულია და მიღებული პოლიტიკის და სასოციალო სფერაში. ამერიკის შეერთებულს შტატებში თვითოეული თავისუფლათ აღიარებს იმ სარწმუნოებას, რომელიც იმას საუკეთესოთ მიაჩნია და თაყვანსა სცემს ღმერთს ისე, როგორც იმას მოსწონს. ქათოლიკების ტაძრების გვერდით დგას პროტესტანტების სალოცავი, ჩინელების პაგოდა ანუ მაჰმადიანების მეჩეთი; ქათოლიკების სამღვდელოების გვერდით თავისუფლათ მოქმედებს მეტოდისტების კონგრეგაცია და კალვინისტების კონსისტორია. ამ გვარი დაწყობილება არ აღძრავს არც უწესოებას, არც შფოთს, რადგანაც არც ერთი სარწმუნოება არ საჭიროებს არც მფარველობაში სახელმწიფოს მხრით, არც სხვა განსაკუთრებითს პრივილეგიაში. თვითოეული ცხოვრებს, სწავლობს და მოქმედებს სახელმწიფოში იმ სჯულის საფარქვეშ, რომელიც ყველა მოქალაქებისთვის ერთი და იგივეა, რომელნიც ყველანი პატივსა სცემენ და რომელიც თვითოეულს მიანიჭებს ერთგვარს თავისუფლებას. Italიის მმართებლობას სურს აჩვენოს, რამდენათაც ეს იმაზედ დამოკიდებულია, რომ ის ერწმუნება თავისუფლებას და უნდა ეს თავისუფლება ისე ხელუხვათ დანერგოს რამოდენათაც„ იმას შეიფერებს საზოგადო წესის მოთხოვნილება..... ყურადღება მიაქციეთ, მოწყალენო ხელმწიფენო, განსხვავებას, რომელშიაც არის ეკკლესია ამერიკაში და ევროპაში. ახალის ქვეყნის ხელუხლებელს მხარეებში ეკკლესია დაემყარა ახალს საზოგადოებაში, რომელმაც ევროპიდამ შემოიტანა საფუძველი ძლიერის მოქალაქობისა. აქ სარწმუნოებამ ახალ-მოსახლეებს დაარსებინა ის უფლება მონებისა, რომელიც სათნოა ღვთის წინაშე. თავისუფლებითურთ შემოტანილმა, ეკკლესიამ თავისუფლების აჩრდილში მოიპოვა ყოველივე, რაც საჭირო იყო იმისის გაძლიერებისთვის და იმის ასამაღლებლათ. ის არას დროს არა ცდილა ამერიკაში, რომ ვისიმე თავისუფლება შეეიწროებინა, არას დროს არა ცდილა, რომ თავისს სასარგებლოთ მოეხმარნა სხვა და სხვა უწყებების მფარველობა. ევროპაში ასე არ ყოფილა: აქ ეკკლესია დაეფუძნა დიდის იმპერიის ნატამალზედ, რომელმაც მთელი მაშინდელი ქვეყანა დაიმონავა. ძველს ბარბაროსულს საუკუნოებში, მაშინდელს სამოქალაქო და პოლიტიკურს უწესოებაში ეკკლესია ცდილობდა ისეთი ძალა მიეცა თავისის თავისთვის, რომ წინააღმდეგობა შესძლებიყო ყოველის ტალღის-ცემისთვის, იმის გარეშემო რომ გროვდებოდა, და თვითონ უვნებელათ ყოფილიყო, როდესაც ცივილიზაცია დაინთქებოდა. მაგრამ იმ დროს, როდესაც ახალის ცხოვრებისადმი მოწოდებულთ ხალხთ იწყეს შუა საუკუნოების წყვდიადიდამ გამოსვლა და შემოქმედისაგან აღნიშნულს გონების აღორძინების გზას დაადგნენ, იმ დროს ეკკლესიამ დასდო თავისი უღელი ყოველსავე, რაც იმაზედ დამოკიდებული იყო; იმან შეავიწროვა

(*) ქილა-ოცს ბათმანს ანუ ერთს ფუთს უდრის.

ადამიანის გონების გახსნა და მოქალაქობის წინწასელა; იმან აშკარათ მტრობა დაუწყო ყოველსავე თავისუფლებას და უარზედ იდგა, რომ აღიარებინა უძვირფასესი და უეჭველი თავისუფლება სარწმუნოებისა. ეს იყო მიზეზი, რომ საერო და სასულიერო უფლებანი ერთმანეთს შეეჯახნენ: იმათში პირველი, ესე იგი, საერო უფლება წარმოადგენდა თავისუფლებას და პროგრესს, სასულიერო უფლება კი—მონაობას და შეჩერებას. სხვა და სხვა მიზეზების გამო ეს შეჯახება უფრო ძლიერი იყო იტალიაში. აქ ეკკლესია უმაღლესის საერო უფლებით აღიჭურვა და მიიღო ისა იმ სახელმწიფოში, რომელიც იტალიის დედა-მიწაზედ არსებობდა; ის თავისს უფლებას არ უქვემდებარებდა არავითარს საერო ზედა-მხედველობას. ამ დროდამ სასულიერო ძალა არა თუ სამოქალაქო უფლების წინააღმდეგათ აღმოჩნდა, არამედ ბუნებითის მოთხოვნილებისაც. აი სად არის დანერგილი იმ დაუნდობლობის ფესვი, რომელიც მე მოვიხსენე ჩემს ცირკულიარში და რომელზედაც თქვენ ახლა სჩივით. ეპისკოპოზნი არიან ფარათ და იარაღათ უფლებისა, რომელიც იტალიის სახალხო საქმეს ეწინააღმდეგება; იმათ თავიანთი თავი უბრალო მწყემსებათ არ მიაჩნიათ, და ამისთვის საერო უფლება ვალდებულია მოიხმაროს იმათ წინააღმდეგ საჭირო ღონისძიება, რომ ხალხისა და მმართებლობის სიმართლე დაიცვას. ახლა გკითხავთ, როგორ ამოვკვეთოთ ეს დამლუპავი და სამწუხარო განხეთქილება საეროს და სასულიეროს უფლებას შორის? მხოლოთ თავისუფლებას შეუძლიან ის გააუქმოს და დაბადოს იტალიაში ის მდგომარეობა, რომელსაც თქვენ შურით შესცქერით ამერიკაში. მივცეთ ღმერთს ღვთისა და კეისარს კეისრისა და საუკუნო მშვიდობა დამყარდება ეკკლესიასა და სახელმწიფოს შორის. მე მინდოდა სახალხოთ აღმეარებინა ყოველივე ეს პრინციპები, როდესაც ეპისკოპოზებზედ დადებული აღკრძალვა გავაუქმე; მე სრულებით დარწმუნებული ვარ, რომ არა თუ კარგია თავისუფლების აღიარება და იმისი მოხმარება თვით სქმით: იმას შეუძლიან მოიზიდოს იმათი გული, რომელნიც მოწოდებულნი არიან, რომ ამის კეთილ მოქმედებით ისარგებლონ. იმედი მაქვს, მოწყალენო ხელმწიფენო, რომ როდესაც თქვენ თქვენს ეპარხიებში დაბრუნდებით, საესენი იმ პატივისცემით სჯულისადმი, რომელიც თქვენს წიგნშია გამოთქმული, და დაემყარებით იმ ხალხში, რომელსაც უწინდებულათ სურს კათოლიკის სარწმუნოების აღსარება, და ამასთანავე თავისუფლებაში ყოფნა, მაშინ თქვენ აკურთხებთ ამ თავისუფლებას, რომელზედაც არის მხოლოთ დამოკიდებული შერიგება წინააღმდეგის ინტერესებისა.

საბერძნეთი. მოძრაობა საბერძნეთში. ქორფუდგან, 20 დეკემბრიდგან, გაზეთში „Italia“ სწერენ:„ თუ დაეჯერება ერთს აღტაცებულს არტილლერისტს მიხალონნის, მომავალ'ს გაზაფხულს უნდა მოხდეს კარგათ მომზადებული ადგომა თესსალიაში და ეპირში. ჯერ არაფერსა ზოგვენ, რომ მოაგროვონ გაზაფხულამდის ბლომათ ფული. ამ განზრახვით სხვა და სხვა თეატრებში არის წარმოდგენა და უმეტესი წარმოდგენების სუჟეტი არის აღებული საბერძნეთის თავისუფლების ომიანობიდგან. სამღვდელოება ეკკლესიის კათედრიდგან ხალხს აგონებს, რომ შესწიროს სახალხო საქმეს, ვისაც რა შეუძლიან. ამ განზრახვითვე თითქმის ყველა ქუჩებში და საზოგადო სახლებში არის მიკრული პროკლამაციები; თვით საბერძნეთში და იმის ახლო ყველა კუნძულებზედ მართავენ ქალები და კაცები სხვა და სხვა კამიტეტებს. აქამდის ქორფუში, ქეთალონიაში და ზანტეში მოაგროვეს 26 ათასი ფრანკი. თუმცა ამ კუნძულებზედ ძალიან ღარიბი ხალხია და თვით ეაჭრობაც უკანასკნელს დროს ძალიან დაეცა, მაგრამ არავინ არასა ზოგავს და ეწევა, რითაც კი შეუძლიან, სახალხო საქმეს. რაც ქორფუში სამხედრო უფროსათ მოვიდა ახლათ დანიშნული, გენერალი საერო მილიო, რომელიც ზემო ალბანიაში დაბადებულია, აქაური ხალხი ისე გამხნევდა და აღიძრა, რომ ადამიანს ეგონება, ვითომც საბერძნეთი დღეს ან ხვალ ოსმალეთს ომიანობას გამოუცხადებს. სუყოველ დღეს ქორფუს გარნიზონი რამდენსამე საათს სწავლობს სროლას და ამ სროლაში დაესწრობა ხოლმე იქაური სამხედრო უფროსი. რასაკვირველია, ამისთანა მოქმედებას ოსმალეთის მთავრობა კარგათა ხედავს და თავის მხრითაც ემზადება. როგორც ამბობენ, ოსმალეთის მთავრობასაც ჰსურს ომი გამოუცხადოს საბერძნეთს; იმისთვისაც საბერძნეთის მთავრობამ პასუხი არ მისცა ოსმალეთს იმაზედ, რომ საბერძნეთმა გააკეთა სამი ბანაკი ოსმალეთის საზღვარზედ.

ამერიკა. მკითხველმა იცის, რომ ამერიკაში ჯერაც გაცხარებული ბრძოლა და მღელვარებაა. ახლა ეს ბრძოლა უნდა გათავდეს. ამერიკის შტატების კონსტიტუციას წინათვე დაუნახავს, რომ შეიძლება დაიბადოს უთანხმოება პრეზიდენტსა და კონგრესს შორის. კონსტიტუციას მიუნიჭებია კონგრესისთვის მომეტებული ძალა, მინამ პრეზიდენტისთვის. კონგრესის უმეტესობა სრულებით არ ეთანხმება პრეზიდენტს. პრეზიდენტს სხვა ჰსურს, კონგრესსი სხვას ითხოვს. ორივე მხარე დიდათ მღელვარებს. იმათში მორიგება შეუძლებელია. კონსტიტუცია იმათ ვერ შეარიგებს. ბევრს იმედი ჰქონდა, რომ პრეზიდენტი გამოიცვლიდა პოლიტიკას. ეგონათ, რომ პრეზიდენტი, თავის მოგზაურობის შემდეგ, თითონვე პირდაპირ დარწმუნდებოდა, რომ საზოგადოება უფრო რადიკალების მხარეზედ არის; ეგონათ, რომ პრეზიდენტი თავის ეპისტოლეში გამოაცხადებს, რომ ის თავის უწინდელს პოლიტიკას თავს ანებებს და რადიკალებს მიემხრება. მაგრამ რას ვხედავთ? ჯონსონმა მტკიცეთ განიზრახა რომ ის თავის ძველს პოლიტიკას თავს არ დაანებებს, რომ თავის უწინდელს პრინციპებს თავის დღეშიაც არ უმტყუნებს. როდესაც პრეზიდენტმა ასე ცხადათ და გარკვევით გამოაცხადა თავისი პოლიტიკური პრინციპები, მაშინ კონგრესის უმტესობამ განიზრახა, რომ პრეზიდენტი ჯონსონი სამართალში მისცეს სჯულის დარღვევისთვის. ახლა ჩვენ ნამდვილათ დავრწმუნდით ტელეგრამმით (იხილეთ ქვეით ვაშინგტონიდამ მოსული ტელეგრამმა), რომ კონგრესი სწორეთ ესე მოიქცა და თავის სიტყვებს არ გადუდგა. შეერთებულის შტატების კონსტიტუცია ამბობს, რომ პრეზიდენტს მოეკითხება ყოველი სჯულის გარდახდომა და დარღვევა ისე, როგორც ყველა ამერიკის მოქალაქეს, მაგრამ თავისს უფლებას კი არ დაჰკარგავს, თუ იმას არ შესწამს სახელმწიფოს ღალატი, და სახელმწიფო ხაზინის დახარჯვა. უკეთუ პრეზიდენტი აღმოჩნდა დამნაშავე ამაში, მაშინ იმას გადააყენებენ თავის თანამდებობიდამ. როგორც სჩანს ტელეგრამმიდამ, პრეზიდენტს ჰპოვებენ დანაშაულს სჯულის დარღვევაში; მაშასადამე იმას შეუძლიან თავისი თანამდებობა აღსრულოს, მანამდისინ სამსჯავრო გადაწყვეტილება არ შეთავდება.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ,

პეტერბურგში მიღებული.

კონსტანტინეპოლი, 24 დეკემბერს (5 იანვარს 1867). ფონისთან განდგომილებს ომი მოუხდათ ოსმალებთან და დაეხოცათ 3 ასამდე კაცი; 4,500 განდგომილები ოსმალებმა ზღვის პირას მიიმწყვდიეს და აქედამ ისინი რუსეთის სამხედრო ფრეგატით გადავიდნენ პირეას.

ბერლინი, 26 დეკემბერს (7 იანვარს 1867). პრუსსიის კაროლ'ს წარუდგა შლეზიღ-ლოლშტინიის დეპუტაცია; ამ დეპუტაციის სახელით გრაფმა რეევენტლიმ მოახსენა კაროლს: ჩვენ მადლობელნი და ბედნიერნი ვართ: ჩვენი ძვირფასი ინტერესები ახლა თქვენს ხელშია. „ჩვენი ვამპარტავნებთ იმითი, რომ ვეკუთვნით პრუსსიას. ესასოებთ, რომ ჩვენც ვიქნებით მონაწილენი ჩვენის საერთო მამულის კეთილ—დღეობაში და ამისთვის დავრჩებით მარადის მტკიცე და ერთგულ ქვეშევრდომებათ.“

პარიჟი, 26 დეკემბერს (7 იანვარს 1867). მმართებლობამ შენიშნა, რომ ზოგიერთი იმ პირთაგანი, რომლებიც ყავახანაში დაიჭირეს, საიდუმლო საზოგადოების მონაწილენი არიან და ამისთვის განაწესა იმათი შეპყრობა სამის თვიდამ ხუთმეტს თვემდე.

კონსტანტინეპოლი, 26 დეკემბერს (7 იანვარს 1867). იტალიის და ოსმალეთის მმართებლობას შორის უთანხმოება, „პრინცის ტომასის„ დაზიანების გამო, მოისპო. ანგლიის ელჩმა ისინი მოარიგა.

ნუ-იორკი, 26 დეკემბერს (7 იანვარს 1867). ვაშინგტონის კონგრესის დეპუტატთ-პალატამ, 168 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 38-სა, განსაზღვრა, რომ დაწესდეს კამიტეტი, რომელიც გამოიძიებს პრეზიდენტის ჯონსონის უკანონო და სჯულის დამარღვეველს მოქმედებაებს.

პრეზიდენტმა ჯონსონმა გამოუცხადა კონგრესს თავისი უთანხმოება იმ ბილზედ, რომელიც კოგრესსმა დაამტკიცა და რომელიც მიანიჭებს ნეგრებს მონაწილეობას ალმორჩევაში.

ვაშინგტონი, 26 დეკემბერს (7 იანვარს 1867წ.). ვაშინგტონის კონგრესის დეპუტიტთ-პალატაში შეიტანეს ის წინადადება, რომ პრეზიდენტი ჯონსონი სასჯელს მიეცეს.

27 დეკემბერს (8 იანვარს 1867წ.). ვაშინგტონის კონგრესის დეპუტატთ-პალატამ დაამტკიცა ზემოხსენებული წინადადება, რომ ჯონსონი სამართალში მიეცეს.

კონსტანტინეპოლი, 28 დეკემბერს (9 იანვარს 1867წ.). პორტამ შეიტყო, რომ საბერძნეთის მოქმედს პარტიას ჰსურს მოახდინოს არეულობა მთელს არხიპელაგის კუნძულებზედ, რომლებიც ოსმალეთს ეკუთვნიან.

ეპირში გაიგზავნა ხუთი ბატალიონი ქვეითი ჯარი, და დანარჩენს ხუთს ბატალიონს მოუვიდა ბრძანება, რომ ისინი საომრად გამზადებულნი იყვნენ.

ტფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 10 იანვარს. „მონიტორმა“ გამოაცხადა იმპერატორის დეკრეტი, რომლისგამო ფრანციის პალატებში ადრესის შედგენის ნება აღარ აქვთ: სიმართლე ეძლევათ, რომ მხოლოდ კითხვა მისცენ ხოლმე მმართებლობას. ამ სიმართლის მისაღებათ საჭიროა სენატის ორი განყოფილების და სჯულის-დამდებ კრების ოთხი განყოფილების თანხმობა. ზემოხსენებულ დეკრეტთან ერთად გამოიცა იმპერატორი ნაპოლეონის წიგნი, რომელსაც ის სახელმწიფო მინისტრსა სწერს და რომელშიაც აი რას ამბობს: იმპერიის ახლანდელს დაწესებულებაებს იმედი მაქვსო ყოველი შესაძლებელი საზოგადო თავისუფლება და სიმართლე მიეანიჭოვო იმ განზრახვით, რომ ჩემდამი რწმუნებული უფლება ამით არ შემცირდეს, რადგანაც ადრესზედ ბაასიდამ არა გამოვიდარა, ამისთვის ვფიქრობ ადრესის შედგენის მაგივრად მხოლოდ კი თავის სიმართლე მივსცე. ამას გარდა მინისტრებს იმდენი უფლება მიეცემათ, რომ კითხვაზედ პასუხი მისცენ ხოლმე; ბეჭედის 'აქმეები უნდა აწარმოოს ხოლმე გამსწორებელის პოლიციის სასამართლოებმა; ახალი სჯული განსაზღვრავს, თუ რა პირობით უნდა მოხდეს ხოლმე შეყრილობა. ყველა მინისტრებმა სთხოვეს სამსახურიდგან დათხოვნა. „საღამოს მონიტორმა“ გამოაცხადა, რომ მინისტრების, რუეს, მუტიეს, დიუროუის, ვალიანის და ბარონ-შის თხოვნა სამსახურიდამ-გასულისათვის-არ მიიღესო. რუე დანიშნეს სახელმწიფო და საფინანსო მინისტრად, მარშალი ნიელი-სამხედრო მინისტრად.—Journal de St.-Petersburg-ში არი დაბეჭდილი ეიცე-კანცლერის კნიაზი-ბორჩაკოვის დეპეშა რუსის მმართებლობის საელჩოს და მისსიის სახელზედ. ამ დეპეშას თანაახლეს რომის კარის მოქმედების ისტორიული აღწერა, რომელიც იყო მიზეზი, რომ დიპლომატიური ურთიერთობა შეწყდა პაპის და რუსის მმართებლობებს შუა და რომელმაც შესცვალა 1867 წლის კონკორდატი.

პეტერბურგი, 14 იანვარს. 11 იანვარს ავსტრიის იმპერატორმა მიიღო ვენგრიის სეიმის დეპუტაცია, რომელმაც მიართვა იმას ადრესი სამხედრო მოვალეობის შესახებ. იმპერატორმა იმედი გამოაცხადა, რომ რესკრიპტი, რომელიც მალე გამოვაო, ყოველს უთანხმოებას მოსპობსო. იმპერატორი ამ მხარის სურვილის შესრულებაზედ მზათ არის, როგორც კი ურთი ერთი დანდობილება განაქარევებს დაბრკოლებას და პასუხის მგებელის ვენგრიის სამინისტროს დააწესებინებს. ავსტრიის გაზეთები გვაცნობებენ, რომ ვენგრიის დეპუტატებსა და ბარონ ბეისტშუა მოლაპარაკება კარგათ გათავდაო. ყველას სწამს ვენგრიის კონსტიტუციის სრულად განახლება.

ისტორია სიუნისა, შედგენილი სტეფანე ორბელიანისაგან და სომხურიდამ ნათარგმნი მ. ბროსსესაგან.

Histoire de la Siounie par Stéphanos Orbélian, traduite de l'arménien par M. Brosset. II livr. 1864—1866. S.-Pétersbourg.

(დასასრული).

ამ ისტორიაში ჩვენის მკითხველებისთვის შესანიშნავია უფრო სამოც და მეექვსე თავი, რომელიც შეეხება საქართველოს ისტორიას და მეტადრე ორბელიანთ გვარის მოთხრობას. ის შეიცავს 33 გვერდს (¹). „ორბელიანთ ისტორია დაიბეჭდა პირველათ მადრასში 1775წ., მასუკან ლაკროზმა გადათარგმნა ზოგიერთი იმისი ნაწილი ლათინურათ; 1819 წ. განთქმულმა ორიენტალისტმა სენ—მარტენმა ჩაურთო სომხური ტექსტი თარგმანით ფრანცუზულს ენაზედ თავისს Mémoires historique et géographique sur l'Arménie. II. 56—175.—1840 წლამდე „ორბელიანების ისტორია“ ცალკე წიგნათ მიაჩნდათო, ამბობს ბროსსე, ვიდრე უკანასკნელი დაამტკიცებდა, რომ ის იყო ნაწილი „სიუნის ისტორიისა“. ბარდა ამისა მადრასელებს ის მიეწერათ მესრობისთვის. (²)

„ორბელიანთ ისტორიას“ სტეფანე იწყობს მოკლე მოთხრობით ქართველების შთამომავლობაზედ, ისე როგორც ამას ქართლის-ცხოვრება გვიამბობს; მასუკან ორიოდე სიტყვით იხსენებს მამასახლისებს, მეფეებს და შემდეგ ვრცლათ ამბობს ორბელიანების მოსვლაზედ. სად უპოვნია ეს ცნობები სტეფანეს? აი ამაზედ იმისი ნამდვილი სიტყვები,—ეს სიტყვები ღირსია შენიშვნისა. „ეს ცნობები საქართველოს წელთ-აღწერაში არისო, მაგრამ არევით, რადგანაც როდესაც მეფე ბიორგიმ ორბელიანთ გვარი საქართველოში ამოსწყვიტაო, მაშინ იმან ამოაკვეთინაო იმათი სახელი ისტორიიდამ, ყველა დოკუმენტებიდამ და ეკკლესიებიდამ. ჩვენ გამოვიძიეთო და მოვიპოვეთო ეს მცირე ცნობები: ამ საგანზედ ჩვენ მცოდნე პირთ გამოვკითხეთო, გავარჩიეთო დაფანტული ძეგლები, რომელნიც გადარჩენო, შევკრიფეთო გვარის გარდამონაცემი. მაგრამ რადგანაც ჭეშმარიტება.... შეცვლილი იყოო ამ ქვეყნის მატიანეში, რომელსაც

(¹) Histoire de la Siounie. I. 209—241.

(²) ib 209. Addit. et Éclaircis. à l' Hist. de la Géorgie, 352—355.

ქართლის—ცხოვრებას უწოდებენო, ამისთვის ჩვენ დაჭეშმარიტებით ეს საგანი ვერ შევიტყეთო. ჩვენ დავეფუძნენითო იმ ცნობებზე, რომელნიც სომხურს წიგნებში ვიპოვეთო და როგორც Ორბელიანთ ამოწყვეტას მხითარ ᲐᲜᲔᲚᲘᲡ ისტორია მოგვითხრობსო“ (1). აქ გასაკვირველი ეს არის, რომ სტეფანე ჩვენს მატიანეს ქართლის—ცხოვრებათ იხსენიებს. სჩანს, ძველათვეა ეს სახელი მიღებული საქართველოში. ᲘᲡᲘᲪ ᲡᲩᲐᲜᲡ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔᲡ თხზულებიდამ, რომ საქართველოში ყოფილა არხივები, სადაც სხვათა შორის ისტორიული ცნობები ყოფილა დაცული (2). მხითარი, რომელიც იმას წყაროთ ჰქონია, ცხოვრებდა მე XII საუკ. Იმისი თხზულება შეიცავდა ძველს ცნობებს სომხეთზედ, საქართველოზედ და სპარსეთზედ, მაგრამ საუბედოთ ის ახლა დაკარგულია. (3)

სტეფანეს გამოჰყავს თავისი გვარი ჩინეთიდამ. „ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ დიდი უთანხმობა და ბრძოლა იყო ჩინეთის იმპერიაში, რომელიც აღმოსავლეთათ მდებარებსო, ხალანდრების ქვეყანაში, მოსაზღვრეთ ხაზართა და ჰუნნებთა და Ემაუსის მთამდე მიემართებაო. Როდესაც ᲯᲔᲜᲑᲐᲙᲣᲠ მეფე მოკვდაო, მაშინ სამეფოს საახლის წულებმა ერთმანეთში ბრძოლა ასტეხესო. ზოგნი იმათგანნი დამარცხდნენო; ისინი თავიანთის მეგობრებით, ჯარით და სამეფო სალაროთი გავიდნენო, მრავალი ქვეყნები გაიარესო, ᲓᲐᲠᲘᲐᲚᲘᲡ კარით ქართლის ქვეყანაში შევიდნენო და წარსდგნენო მცხეთის ტანუტერთან (მამასახლისთან.)“ (4)

ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘᲐ თუ არა ეს თქმულება? ᲐᲥ ეს უნდა გამოვიკვლიოთ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ სენ-მარტენი ამას თავისის მხრითაც ამტკიცებს: ის უჩვენებს სხვა და სხვა აღმოსავლეთის წყაროებს, რომელნიც ამ თქმულებას არ ეწინააღმდეგებიან. ᲗᲕᲘᲗ ᲩᲘᲜᲔᲚᲜᲘ თავიანთ მოთხრობაებში ამბობენო, რომ სხვა და სხვა დროს იმათი კოლონიები გადიოდნენო ჩინეთიდამ. მაგალითათ სენ-მარტენს მოჰყავს მამიკონიანების სახლი, რომელიც ჩინეთის სამეფო გვარს ეკუთნოდა, აღრეულობის გამო იქიდამ გამოსულა და სომხეთში დასახლებულა. (5) ᲐᲛ გვარის კოლონიების მოსვლაზედ გვიამბობენ აგრეთვე სომხური ქრონიკა ანუ მატიანე და თვით ქართლის-ცხოვრება (6), მაგრამ ᲝრᲑᲔᲚᲘᲐᲜᲔᲑᲗᲐ არც ერთს კოლონიას არ იხსენებენ ისინი: ისინი საზოგადოთ თურქებათ არიან ნაჩვენებნი. მხოლოთ სტეფანეს ისტორიაში ვპოულობთ ამ სახელს. ᲔᲭᲕᲘ კი არ არის, რომ ᲝრᲑᲔᲚᲘᲐᲜᲗ გვარი შეადგენს ერთს რომელსამე კოლონიას, რომელიც ოდესმე აღმოსავლეთიდამ საქართველოს მოსულა. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ მართლა ჩინეთია იმათი ძველი მამული თუ სხვა მხარე? ᲗᲐᲛᲝᲕᲬᲔᲠᲗ ᲐᲛ ᲡᲐᲒᲐᲜᲖᲔᲓ სტეფანეს ისტორიიდამ ᲑᲠᲝᲡᲡᲔᲡ სიტყვებს, რომელიც ეთანახმება როგორათაც ქართლის-ცხოვრებას, აგრეთვე თვით სტეფანეს და სენ-მარტენის აზრს.

„ᲝრᲑᲔᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘ, დაბიურათ ᲣᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘ, შთამომაველობით არიან იმ ქვეყნიდამ, რომელსაც სომხები ᲯᲔᲜᲐᲡᲢᲐᲜᲡ უწოდებენ, სპარსები—ᲩᲘᲜᲡ ანუ ᲩᲘᲜᲘᲡᲢᲐᲜᲡ, არაბნი—ᲡᲘᲜᲡ, სირიელნი-ᲡᲘᲜᲔᲡᲢᲐᲜᲡ, ევროპიელნი—ᲨᲘᲜᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ აქ (სტეფანეს ისტორიაში) ნამდვილს ჩინეთზედ არ არის ლაპარაკი; არამედ ᲗᲣᲠᲥᲘᲡᲢᲐᲜᲖᲔᲓ, ᲗᲝᲮᲐᲠᲘᲡᲢᲐᲜᲖᲔᲓ და ᲝᲥᲡᲘᲡ მდინარის იქით მდებარე მხარეზედ. სომხეთის მწერალნი ᲯᲔᲜᲔᲚᲔᲑᲐᲗ ანუ ᲩᲘᲜᲔᲚᲔᲑᲐᲗ უწოდებენ თვით ხაზარებს, რომელნიც ცხოვრებდნენ ᲘᲐᲘᲙᲘᲡ ანუ ᲣᲠᲐᲚᲘᲡ მდინარის დასავლეთით, მინდვრებში.

„Რა დროს მოსულან საქართველოში თურქის პრინცები, რომელნიც შემდეგ არიან წოდებულნი ᲝრᲑᲔᲚᲘᲐᲜᲔᲑᲗᲐ ანუ ᲯᲐᲛᲑᲐᲙᲣᲠᲗᲐ, ამაზედ დაჭეშმარიტებით არც ერთი ისტორიკოსი არ მოგვითხრობს. ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲗ მხოლოთ ის ვიცით, რომ მამიკონიანები შემოსულან სომხეთში მესამის საუკ. ნახევარს ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ შობის შემდეგ. ᲝრᲑᲔᲚᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔᲓ ქართლის-ცხოირება ისე ყრუთ ამბობს, რომ ეს შემთხვევა უნდა ყოფილიყოს ჩვენს პირველს საუკ. დაწყებას შორის და V—VI საუკ. შორის ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ შობის წინ. Რიცხვი გვართა, რიცხვი კოლონიებისა, თვით გზა, რომლითაც ისინი მოსულან, ყოველივე ესე მკითხველისთვის ყრუ საგანია. შეიძლება ის ვიფიქროთ, რომ ᲗᲣᲠᲥᲜᲘ ანუ ჩინელნი საქართველოში მოსულან ორის კალონიით—ერთი ჩრდილოეთით, მეორე ᲙᲐᲡᲞᲘᲘᲡ ზღვით; ამაზედ თქმულება დარჩენილა მხოლოდ ზეპირს გარდამოცემაში. Არც ის არის უსაფუძვლო, რომ მესამე საუკუნ., როდესაც შინაგანის აღრეულობის გამო ჩინეთის ᲗᲣᲠᲥᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ მამიკონები მოსულან სპარსეთს და იქიდამ სომხეთს, მაშინ ᲝრᲑᲔᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ წინაპართ საქართველოს მოუმართავთ ᲙᲐᲡᲞᲘᲘᲡ ზღვით და მტკვრით. შემდეგ ამ გვარის ამოწყვეტისა 1177 წ. ᲗᲐᲛᲐᲠ დედოფლის მამის ᲒᲘᲝᲠᲒᲘ III დროს, ანუ უკეთ, შემდეგ იმისის აღდგომისა ᲒᲘᲝᲠᲒᲘ—ᲚᲐᲨᲘᲡ დროს, ეს გვარი იყოფა ორათ—საქართველოს ᲝრᲑᲔᲚᲘᲐᲜᲔᲑᲐᲗ და ᲡᲘᲣᲜᲘᲡ ᲝრᲑᲔᲚᲘᲐᲜᲔᲑᲐᲗ. Პირველს შტოს ეწოდა ᲯᲐᲛᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘ, მეორეს ᲣᲐᲤᲚᲐᲜᲘᲐᲜᲘ, ᲣᲐᲤᲚᲐᲜᲘᲡ-ᲨᲕᲘᲚᲘ: ეს სიტყვა წარმოსდგა თურქულის ყაფლანით კი არა, რომელიც ნიშნავს ტიგრს, არამედ სომხურის ყაფანით—Capan, რომელიც არის ძველი სახელთაგანი Baghk-ᲑᲐᲚᲥᲘᲡ სამეფოსი.“ (1) Პირველს სიტყვაზედ, ᲯᲔᲛᲑᲐᲙᲣᲠᲖᲔᲓ, ᲑᲠᲝᲡᲡᲔ ამბობს: „ხალიფ ᲕᲔᲚᲘᲓᲘᲡ დროს, იმისმა სარდალმა მაჰმედმა ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ დაბყრობა მოინდომა და მუქარის წიგნი მისწერაო იმის მეფეს, რომელსაც ᲯᲔᲛᲑᲐᲙᲣᲠ ეწოდებოდაო. ᲐᲡᲔ ამბობს ისტორიკოსი ᲚᲔᲕᲝᲜᲓᲘ; იმისის სიტყვით სჩანს, რომ ᲯᲐᲛᲑᲐᲙᲣᲠ ყოფილაო ტიტული, და არა საკუთარი სახელი. ᲗᲕᲘᲗ ᲛᲝᲡᲔ ᲮᲝᲠᲔᲜᲔᲚᲘ თავის გეოგრაფიაში იტყვისო: „ᲘᲛᲐᲗᲘ (ᲩᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ) მეფე ᲯᲔᲜᲑᲐᲙᲣᲠᲐᲗ იწოდებაო, როგორც ხაზართ მეფე ᲮᲐᲚᲐᲜᲐᲗ იწოდებაო.“ (2)

სტეფანე „ᲝრᲑᲔᲚᲘᲐᲜᲗ ისტორიაში“ იმათ მოსვლის გარდა გვიამბობს, რა მნიშვნელობა ჰქონია ამ გვარს მამასახლისების დროს, ᲤᲐᲠᲜᲐᲝᲖᲘᲡ დროს და შემდეგ. სხვათა შორის ვრცლათ მოგვითხრობს ᲚᲘᲞᲐᲠᲘᲢ ᲝრᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ მხნეობაზედ და მოღვაწეობაზედ, რომელიც ᲑᲐᲒᲠᲐᲢ IV მეფობაში დიდათ განთქმული იყო საქართველოშიაც და უცხო-ქვეყნებშიაც და რომელსაც თითქმის ნახევარი საქართველო ეჭირა ხელში; ვრცლათ აგვიწერს, რა იყო მიზეზი ან როგორ მოხდა ᲒᲘᲝᲠᲒᲘ მეფის დროს მთელის გვარის ამოწყვეტა, შემდეგ როგორ აღყვავდა ის მეორეთ და სხ. და სხ..... ᲐᲛ საგანზედ სტატიის გავრცელებას საჭიროთ აღარ ვხადით: საქართველოს ისტორიისთვის რასაც უფრო საჭიროთ ვხედავდით, ჩვენ ის უჩვენეთ. Მართალია, ბევრი რამ არის სტეფანეს წიგნში შესანიშნავი; მაგრამ ვისაც სურს ყოველივე შეიტყოს, იმას შეუძლიან თვით სტეფანეს მიჰმართოს.

(1) ib 212.
(2) ib. 221, 328.
(3) ib. Not. 2.
(4) ib. 210, 211.
(5) Dissertation sur l' origine de la famille des Orbélian et de plusieurs autres colonies chinoises, établies. en Arménie et en Géorgie. ნახე Mémoires sur l' Arménie. II. 15—55.
(6) Addit. et Éclairc. 6.—Hist. de la Géor. I. 30.

სხვა და სხვა ამბავი.

ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲗᲘ ᲡᲘᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔ. ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ კორრესპონდენტი სწერს: ერთს აზნაურს ხერსონის გუბერნიაში დაებადა ქალი, რომელიც იყო უფროსის შვილის მომტანე. ᲐᲛ ქალს ორივე ფეხებზედ ორ-ორი თითი შეხორცებული ჰქონდა. ᲥᲛᲐᲠᲡ რომ წაჰყვა, იმასაც მეორე შვილი ქალი ეყოლა და ამ ქალსაც დედასავით ფეხებზედ ორ-ორი თითი შეტყუპებული დაჰყვა ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ქალს ოთხ წლამდის ფეხი არ აუდგამს და ამ გარემოებას ყმაწვილის სისუქნეს აწამებდნენ. ᲐᲛ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ქალს გათხოვების შემდეგ ორი შვილი ერთად ეყოლა და იმათში უნცროს ქალსაც ფეხებზედ შეხორცებული თითები დაჰყვა. მე სრულებით ვერ შევიტყე ამ გვარი სიმახინჯე ამ აზნაურის გვარში მემკვიდრეობით მოდინარებულმა თუ იმისგამო მომხდარა, რომ ერთი ამ გვარის წევრთაგანი შემთხვევით დამახინჯებულა. სენტ-ᲘᲚᲔᲠᲘᲡ დაკვირვებით ამგვარი შემთხვევა შესაძლებელიაო.

ᲡᲐᲮᲐᲖᲘᲜᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

(Закавказскій Вѣстникъ № 4)

3) ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ სამხედრო ოკრუგის საინტენდანტო სამმართველოში 10 თებერვალს 1867 წლისა მოხდება ტორგი, რომელზედაც იჯარით უნდა გაიცეს ხის კედლების აშენება ქვის სვეტებს შუა ᲖᲐᲥᲐᲗᲐᲚᲘᲡ პროვიანტის მაგაზინში და აგრეთვე ხის პოლის დაგება. ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲣᲚᲘᲐ, რომ ეს მუშაობა 2826 მან. და 78 $^{3}/_{4}$ კაპ. დაჯდება.

4) ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ სამხედრო ოკრუგის საინტენდანტო სამმართველოში 24 იანვარს 1867 წლისა მოხდება ტორგი ᲐᲜᲐᲜᲣᲠᲘᲡ პროვიანტის მაგაზინის შეკეთებაზედ და გადაკეთებაზედ. ᲔᲡ მუშაობა ეღირება 1461 მან. და 9-$^{1}/_{2}$ კაპ.

5) ᲖᲐᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲞᲠᲘᲙᲐᲖᲘᲡ განკარგულებით 24 აპრილს 1867 წლისა ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ უეზდის სამსჯავროში მოხდება ტორგი გასასყიდათ მამულისა, რომელიც ეკუთვნის თ. ᲖᲣᲠᲐᲑ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ძე ᲐᲚᲐᲗᲝ-ᲨᲐᲰᲜᲐᲫეს და იმყოფება სიღნაღის უეზდში, სოფელს ᲑᲐᲙᲣᲠᲪᲘᲮᲔᲡ. ᲔᲡ მამული ისყიდება იმისთვის, რომ მისმა პატრონმა არ შეიტანა სარგებელი ᲞᲠᲘᲙᲐᲖᲘᲓᲐᲛ ნასესხის 4100 მანეთისა.

6) ᲖᲐᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲞᲠᲘᲙᲐᲖᲘ 1 მაისს 1867 წლისა მოხდება ტორგი გასასყიდათ ქვის შენობებისა, რომელნიც ეკუთვნიან ქვემოხსენებულს ᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ მცხოვრებლებს და ისყიდებიან იმისთვის, რომ მათმა პატრონნემა არ შეიტანეს სარგებელი ᲞᲠᲘᲙᲐᲖᲘᲓᲐᲛ გამოტანილიᲮ შემდგომის სესხებისა: 1) ᲐᲕᲔᲢᲘᲥ ᲞᲐᲞᲐᲡ ძემ ᲞᲐᲞᲝᲕᲛᲐ—1100 მან. რომსლი გირაოთ არის მისი სახლი 2 ნაწილის 3 კვარტალში; 2) ᲐᲡᲐᲢᲣᲠ ᲡᲐᲐᲙᲐᲡ ძემ ᲐᲚᲐᲑᲔᲒᲝᲕᲛᲐ—1000 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში, ᲐᲕᲚᲐᲑᲐᲠᲨᲘ; 3) ᲖᲠᲘᲔᲥᲣᲠ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ძემ ᲛᲘᲙᲘᲠᲢᲣᲛᲝᲕᲛᲐ—2,500 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი სარდაფით 3 ნაწილის 1 კვარტალში: 4) ᲘᲐᲙᲝᲑ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ძემ ᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ—500 მან. რომლის გირაოთ არის მისი სახლი 1 ნაწილის 3 კვარტალში: 5) ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲑᲐᲘᲜᲓᲣᲠᲐᲡ ძემ ᲑᲐᲘᲜᲓᲣᲠᲝᲕᲛᲐ და ᲘᲐᲒᲝᲠ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲡ ძემ ᲤᲣᲜᲝᲕᲔᲕᲛᲐ—1200 მან., რომლის გირაოთ არის მათი სახლი 4 ნაწილის 2 კვარტალში; 6) კოლეჟსკი რეგისტრატორმა ᲐᲐᲠᲝᲜ და ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔᲡ ძეთა ᲥᲐᲛᲝᲔᲕᲛᲐ—2400, რომლის გირაოთ არის მათი სახლი 2 ნაწილის 2 კვარტალში; 7) ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ძემ, ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲛ, ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲛᲐ, ᲘᲝᲡᲔᲑᲛᲐ და ᲞᲔᲢᲠᲣᲡᲐᲛ ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ ძეთა ᲑᲐᲯᲚᲝᲕᲔᲑᲛᲐ—4000 მან., რომლის გირაოთ არის მათი სახლი სამოსამსახურეებით და დუქნებით 3 ნაწილის 1 კვარტალში; 8) ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲛᲐ ᲐᲚᲐᲯᲐᲜ და ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲝᲭᲐᲜᲔᲡᲐᲡ ძეთა ᲥᲐᲚᲐᲜᲗᲐᲠᲝᲕᲔᲑᲛᲐ—750 მან., რომლის გირაოთ არის მათი სახლი 2 ნაწილის 1 კვარტალში; 9) ᲘᲕᲐᲜᲔ ᲨᲐᲠᲐᲤᲘᲫᲔᲛ—600 მან.; ამ ფულის გირაოთ იყო მისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში, რომელიც შემდეგ ნასყიდობით გადვიდა ᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ მცხოვრების სტეფანე ᲝᲭᲐᲜᲔᲖᲐᲡ ძის ᲮᲐᲜᲒᲐᲚᲣᲖᲝᲕის ხელში; 10) ᲕᲐᲠᲗᲐᲜ ᲑᲐᲡᲞᲐᲠᲐᲡ ძემ ᲑᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲛᲐ—300, რომლის გირაოთ არის მისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში; 11) ᲗᲝᲠᲝᲖᲐ ᲐᲙᲝᲤᲝᲕᲐ ძემ ᲐᲙᲝᲤᲝᲕᲛᲐ—450 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში; 12) ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲔ ᲔᲜᲒᲘᲑᲐᲠᲝᲕᲛᲐ—750 მან. ᲐᲛ ფულის გირაოთ იყო მისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში, რომელიც შემდეგ ნასყიდობით გადვიდა ᲛᲐᲠᲗᲐ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ასულის ᲐᲠᲣᲗᲘᲜᲝᲕᲘᲡ ხელში, 13) ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲮᲔᲩᲐᲢᲣᲠᲐᲡ ძემ ᲮᲔᲩᲐᲢᲣᲠᲝᲕᲛᲐ—1800 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში; 14) ᲛᲐᲘᲐ ᲕᲐᲠᲗᲐᲜᲐᲡ ასულმა ᲕᲐᲠᲗᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐᲛ—1200 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში; 15) სარქის ᲡᲣᲥᲘᲐᲡᲘᲡ ძემ ᲖᲠᲘᲥᲣᲠᲘᲐᲜᲪᲛᲐ—750 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში; 16) ᲙᲝᲚᲔᲯᲡᲙᲘᲡ ᲐᲡᲔᲡᲝᲠᲘᲡ ცოლმა ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ასულმა ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲛ—18,000 მან., რომლის გირაოთ არის მისი ორი სახლი 1 ნაწილის 1 კვარტალში, ᲑᲐᲚᲐᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘᲗ; 17) ᲓᲐᲕᲘᲗᲛᲐ და ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲛ ᲞᲔᲢᲠᲔᲡ ძეთა ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲛᲐ—1000 მან., რომლის გირაოთ არის მათი სახლი 1 ნაწილის 1 კვარტალში; 18) ᲝᲰᲐᲜᲔᲖ ᲛᲜᲐᲪᲐᲙᲐᲜᲐᲡ ძემ ᲐᲚᲐᲯᲐᲜᲝᲕᲛᲐ—800 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 4 ნაწილის 2 კვარტალში, ᲥᲣᲙᲘᲐᲨᲘ; 19) გარდაცვალებულის თავადის ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ობლისა ᲜᲘᲜᲝᲡ აპეკუნმა ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ქვრივმა ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲔᲛ—5500 მან., რომლის გირაოთ არიან სახლი და 2 ფლიგელი 4 ნაწილის 1 კვარტალში.

7) ᲖᲐᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲞᲠᲘᲙᲐᲖᲘᲡ განკარგულებით 1 მაისს 1867 წლისა ᲖᲝᲠᲘᲡ უეზდის სამსჯავროში მოხდება ტორგი გასასყიდათ მამულებისა, რომელნიც ეკუთვნიან ქვემოხსენებულს ᲖᲝᲠᲘᲡ უეზდის მებატონეებს. ᲔᲡ მამულები იმისთვის ისყიდებიან, რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს სარგებელი ᲞᲠᲘᲙᲐᲖᲘᲓᲐᲛ გამოტანილის შემდეგის სესხებისა: 1) თავადმა ᲖᲐᲐᲚ ᲖᲘᲝᲠᲒᲘᲡ ძემ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜ—ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ—7000 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სოფელს ᲓᲘᲓ-ᲤᲪᲐᲡ; 2) აზნაურმა ᲘᲚᲘᲐ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲘᲡ ძემ ᲗᲣᲠᲥᲔᲡᲢᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ—2,500 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სოფელს ᲗᲔᲚᲔᲗᲒᲝᲠᲘᲡ; 3) აზნაურებმა ᲘᲕᲐᲜᲛ და ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ძეთა ᲡᲣᲚᲮᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ—6000 მან., რომლის გირაოთ არის მათი მამული სოფელს ᲑᲠᲝᲬᲚᲔᲗᲡ; 4) პადპარუჩიკმა თავადმა ᲐᲡᲚᲐᲜ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ძემ ᲗᲐᲠᲮᲐᲜ—ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ—2,000 მან., რომლის გირაოთ არის მისი 3 ვენახი ᲐᲮᲚ-ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ და ᲙᲐᲕᲗᲘᲡᲮᲔᲕᲨᲘ; 5) პრაპორშჩიკმა თავადმა ᲔᲡᲢᲐᲢᲔ ᲛᲘᲠᲛᲐᲜᲝᲖᲘᲡ ძემ ᲛᲘᲠᲘᲡთავმა—12,000 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სოფელს ᲛᲔᲯᲯᲕᲠᲘᲡᲮᲔᲕᲡ.

8) ᲖᲐᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲞᲠᲘᲙᲐᲖᲘᲡ განკარგულებით 1 მაისს 1867 წლ. ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ უეზდის სამსჯავროში მოხდება ტორგი გასასყიდათ მამულებისა, რომელნიც ეკუთვნიან ქვემოხსენებულს ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ და სიღნაღის უეზდების მებატონეებს. ᲔᲡ მამულები იმისთვის ისყიდებიან, რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს სარგებელი ᲞᲠᲘᲙᲐᲖᲘᲓᲐᲛ გამოტანილის შემდეგის სესხებისა: 1) აზნაურმა ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ძემ ᲐᲑᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ—7,000 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ უეზდში სოფელს ᲯᲐᲜᲐᲜᲡ; 2) თავადმა ᲓᲐᲕᲘᲗ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ძემ ᲑᲔᲑᲣᲠᲝᲜ—ᲕᲐᲩᲜᲐᲫემ—4,500 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სიღნაღის უეზდში, სოფელს ᲥᲐᲠᲓᲐᲜᲐᲮᲡ; 3) თავადმა ᲡᲕᲘᲛᲝᲜ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲘᲡ ძემ ᲯᲐᲜᲓᲘᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ—2,500 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სიღნაღის უეზდში, სოფელს ᲥᲝᲨᲘᲡ; 4) თავადმა ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ძემ ᲐᲜᲓᲠᲝᲜიკაშვილმა—1150 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სიღნაღის უეზდში, სოფელს ᲖᲘᲐᲠᲘ; 5) გენერალ—მაიორმა თავადმა ᲘᲕᲐᲜᲔ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ძემ ᲨᲐᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ (აწ მიცვალებულმა)—6,300 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სიღნაღის უეზდში, ᲖᲣᲠᲯᲐᲜს, ᲖᲘᲐᲠᲘᲡ—ᲑᲝᲚᲝᲡ და ᲐᲠᲐᲛᲓᲐᲠᲐᲡ.

11) ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ უეზდის სამმართველოში 13 თებერვალს 1867 წლ. მოხდება ტორგი გასასყიდათ უძრავის მამულისა, რომელიც ეკუთვნის აზნაურს ᲚᲔᲕᲐᲜ ᲠᲝᲡᲐᲤᲘᲡ ძეს ᲖᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ. ᲔᲡ მამული შესდგება ეზოსა და ტყისაგან და იმყოფება ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ უეზდში, სიმონეთის უჩასტკაში, სოფელს ᲭᲐᲚᲐᲡთავს. Ის არის დაფასებული 84 მანეთათ და ისყიდება ვალში.

(Закавказскій Вѣстникъ № 5).

2) ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ სამხედრო ოკრუგის საინჟინერო სამმართველოში 6 თებერვალს 1867 წლ. მოხდება ტორგი, რომელზედაც იჯარით გაიცემა ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ციხეში თოფის-წამლის შესანახავის სარდაფის გადაკეთება. ᲐᲛ სამუშაოსათვის დანიშნულია 5,240 მან. და 74$^{1}/_{4}$ კაპ.

12) ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ უეზდის სამმართველოში 18 თებერვალს 1867 წლ. მოხდება ტორგი გასასყიდათ უძრავის მამულისა, რომელიც ეკუთვნის აზნაურებს ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲔ და ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲔᲒᲜᲐᲠᲐᲫეებს. ᲔᲡ მამული შესდგება სახნავ-სათესის მიწისაგან და იმყოფება ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ უეზდში, ᲥᲣᲗᲘᲠᲘᲡ უჩასტკაში, სოფელს ᲞᲐᲢᲠᲘᲙᲔᲗᲡ. Ის არის დაფასებული 100 მანეთათ და ისყიდება ვალში.

ᲙᲔᲠᲫᲝᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲔᲠᲗᲘ ფრანცუზი, რომელმაც ძლიერ კარგათ იცის ფრანცუზული, ნემეცური და იტალიური ენები, ეძებს მასწავლებლის ადგილს რომელსამე ოჯახში. Იმისი ადრესი „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ რედაქციაში იკითხეთ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го января 1867 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი Ზ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ.